585
1951

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (36) 31 მაისი 1951 წ.

## შინაარსი

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი**

31. ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

32. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ.

33. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართის — „სამხედრო დანაშაულთა დებულების“ 7 მუხლის „ბ“ პუნქტის ცვლილების შესახებ.

34. ადიგენის რაიონის ბოლაჯაურის სასოფლო საბჭოდან სოფელ შორაველის გამოყოფისა და ხევაშენის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

35. გურჯაანის რაიონის ურიათუბნის სასოფლო საბჭოს და სოფელ ურიათუბნის გადარქმევის შესახებ.

36. ტყიბულის რაიონის ციხია - ბობოთის სასოფლო საბჭოდან სოფელ ლაფეთის გამოყოფისა და ორპირის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

37. გორის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

38. ონის რაიონის ზოგიერთი ადმინისტრაციული – ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

## 31. ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დაარსების ათი წლის თავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით სასახლის მუშაკები:

1. აგლაძე ელენე ვლადიმერის ასული—დირექტორი.
2. გეგეჭკორი მავრა ზურაბის ასული—კაბინეტის გამგე.
3. მახვილაძე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე – განყოფილების გამგე.
4. მესხი გრიგოლ პართენის-ძე—კაბინეტის გამგე.
5. მიქელაძე ირინე დავითის ასული—კაბინეტის გამგე.
6. სუხიშვილი გიორგი ესტატეს-ძე—განყოფილების გამგე.
7. ჯაფარიძე ალექსანდრა ბიჭოს ასული—პედაგოგი.
8. ჯაფარიძე ნიკოლოზ რომანოზის-ძე —კაბინეტის გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 4 მაისი.

## 32. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ჩატარების დროს საარჩევნო კამპანია მოცემულ საარჩევნო ოლქში იწყება ერთი თვით ადრე არჩევნების დღემდე, ნაცვლად ორი თვისა, რაც „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებით“ გათვალისწინებულია საერთო არჩევნებისათვის.

ამის შესაბამისად:

ა) ამომრჩეველთა სიებს საყოველთაო გასაცნობად მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გამოაკრავს 20 დღით ადრე არჩევნებამდე;

ბ) საარჩევნო უბნების შექმნა და საუბნო საარჩევნო კომისიების დამტკიცება ხდება არა უგვიანეს 25 დღისა, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიების დამტკიცება – არა უგვიანეს 28 დღისა არჩევნებამდე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია ხდება საოლქო საარჩევნო კომისიებში არა უგვიანეს 15 დღისა არჩევნებამდე, ხოლო ცნობები დეპუტატობის რეგისტრირებულ კანდიდატზე და საზოგადოებრივი ორგანიზაციის დასახელება, რომელმაც წამოაყენა კანდიდატი, ქვეყნდება არა უგვიანეს 12 დღისა არჩევნებამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 8 მაისი.

**33. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართის — „სამხედრო დანაშაულთა დებულების“ 7 მუხლის „ბ“ პუნქტის ცვლილების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 30 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართის — „სამხედრო დანაშაულთა დებულების“ 7 მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„იმავე პირთა თავნებობით განმეორებული წასვლა ორ საათამდე, ან თუნდაც ერთხელ წასვლა ორ საათზე მეტი ხნით გამოიწვევს

სამხედრო ტრიბუნალის სამართალში მიცემას და სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნას ვადით ორი თვიდან ორ წლამდე, ხოლო შემამსუბუქებელი გარემოების დროს — სადისციპლინო წესით დასჯას.

სამართალში მიცემისა თუ სადისციპლინო წესით დასჯის საკითხს გადაწყვეტს შინაერთის მეთაური ან იმ ცალკეული ნაწილის მეთაური, რომელიც შინაერთის შემადგენლობაში არ შედის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 11 მაისი.

**34. ადიგენის რაიონის ბოლაჯაურის სასოფლო საბჭოდან სოფელ შორაველის გამოყოფისა და ხევაშენის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს ადიგენის რაიონის ბოლაჯაურის სასოფლო საბჭოს სოფელი შორაველი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის ხევაშენის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 18 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**35. გურჯაანის რაიონის ურიათუბნის სასოფლო საბჭოს და სოფელ ურიათ-უბნის გადარქმევის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ეწოდოს გურჯაანის რაიონის ურიათუბნის სასოფლო საბჭოს სოფელს ურიათუბანს სოფელი ვაზისუბანი, ხოლო ურიათუბნის სასოფლო საბჭოს—ვაზისუბნის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 18 მაისი.

**36. ტყიბულის რაიონის ციხია-ბობოთის სასოფლო საბჭოდან სოფელ ლაფეთის გამოყოფისა და ორპირის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს ტყიბულის რაიონის ციხია-ბობოთის სასოფლო საბჭოს სოფელი ლაფეთი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის ორპირის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 18 მაისი.

**37. გორის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს გორის რაიონის სასოფლო საბჭოებს:

დიცისას—სოფელი ერგნეთი და მიეკუთვნოს ტირძნისის სასოფლო საბჭოს;

ტყვიავისას—სოფელი ქერე და მიეკუთვნოს მერეთის სასოფლო საბჭოს;

ატენისას—სოფელი ავკვეთი და მიეკუთვნოს დრის სასოფლო საბჭოს;

ზერტისას—სოფელი კირბალი და მიეკუთვნოს ბერშუეთის სასოფლო საბჭოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქვეშისას—სოფელი ციცაგიანთკარი და მიეკუთვნოს ახალუბნის სასოფლო საბჭოს;

ქვეშისას—სოფელი სათემო და მიეკუთვნოს ძევერის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წლის 28 მაისი.

**38. ონის რაიონის ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს ონის რაიონის ზვარეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ანკარა და მიეკუთვნოს ონის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს ონის სასოფლო საბჭოს სოფელი კომანდელი და მიეკუთვნოს ონის საქალაქო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 28 მაისი.